სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

საერთო კრების ოქმი

კრების ჩატარების ადგილი: შერატონ გრანდ მეტეხი პალასი.
მისამართი: თელავის ქუჩა N20, თბილისი

დღის წესრიგი:

1. წევრთა რეგისტრაცია
2. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.
3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა;
4. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიშის წარდგენა;
5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის წარდგენა;
6. სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძისა და აკადემიკოს მინდია უგრეხელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენის მინიჭება;
7. ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილისთვის ღირსების ორდენის მინიჭება;
8. საერთო კრების შეჯამება.

საკითხი 1. წევრთა რეგისტრაცია და საერთო კრების გახსნა

2022 წლის 24 დეკემბერს საერთო კრების რეგლამენტის (შემდგომში - რეგლამენტი) თანახმად, წევრთა რეგისტრაცია დაიწყო 11:00 საათზე და რეგისტრაციის დასრულებისას - 12:00 საათზე, საქართველოს კანონის "ადვოკატთა შესახებ" 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და რეგლამენტის 4.5 პუნქტის თანახმად, კვორუმის არარსებობის გამო, თავმჯდომარემ გამოაცხადა ხელახალი რეგისტრაცია განმეორებითი საერთო კრებისათვის, რომელიც დაიწყო 12:15 საათზე და გაგრძელდა 13:00 საათამდე. 13:00-ზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა - 270 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" 24-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, განმეორებითი საერთო კრება უფლებამოსილია, რის საფუძველზეც ასოციაციის თავმჯდომარემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

13:10 საათზე საერთო კრება გაიხსნა წუთიერი დუმილით. ასოციაციის წევრებმა პატივი მიაგეს აღმასრულებელი საბჭოს წევრის, გიორგი ტურაზაშვილის ხსოვნას.

საკითხი 2. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა

ასოციაციის წესდების შესაბამისად ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ შემდეგი ადვოკატები: თეონა გუჯეჯიანი, ანა სამსონია, ანა ჯალაღონია, ანა ხუფენია, თათია მაისურაძე, ნინო მაჩაიძე-დოლიძე, სალომე ბეჟაშვილი, ნიკა სადრაძე, ლაშა ცუცქირიძე, ტატიანა მარგალიტაძე, ელენე ჩორგოლაშვილი, მარიამ კანდელაკი, ლოლა კურკუმული, ეკატერინე ჩილინდირშვილი და თამარ ბერძნიშვილი.

მოცემულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი, შემდეგი შემადგენლობით: თეონა გუჯეჯიანი, ანა სამსონია, ანა ჯალაღონია, ანა ხუფენია, თათია მაისურაძე, ნინო მაჩაიძე-დოლიძე, სალომე ბეჟაშვილი, ნიკა სადრაძე, ლაშა ცუცქირიძე, ტატიანა მარგალიტაძე, ელენე ჩორგოლაშვილი, მარიამ კანდელაკი, ლოლა კურკუმული, ეკატერინე ჩილინდირშვილი და თამარ ბერძნიშვილი. რეგლამენტის თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, **კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა - სალომე ბეჟაშვილი, ხოლო ხმის დამთვლელი კომისიის მდივნად - ნინო მაჩაიძე-დოლიძე.**

საკითხი 3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა

ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2022 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიშის წარდგენა

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გელაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2022 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის წარდგენა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, თეიმურაზ მესხმა კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2022 წლის პერიოდში გაწეული საქმიანობისა და ასოციაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საკითხი 6. სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძისა და აკადემიკოს მინდია უგრეხელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენის მინიჭება

ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა საერთო კრების წევრებს წარუდგინა აღმასრულებელი საბჭოს წინადადება სამართლის დოქტორის, პროფესორ ოთარ გამყრელიძის და აკადემიკოს მინდია უგრეხელიძისათვის ადვოკატთა ასოციაციის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენის მინიჭება, საქართველოს იურიდიული პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: სამართლის დოქტორს, პროფესორ ოთარ გამყრელიძეს და აკადემიკოს მინდია უგრეხელიძეს მიენიჭოთ ადვოკატთა ასოციაციის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი.

საკითხი 7. ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილისთვის ღირსების ორდენის მინიჭება

ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა საერთო კრების წევრებს წარუდგინა აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილისათვის ადვოკატის ღირსების ორდენის მინიჭების თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილს მიენიჭოს ადვოკატის ღირსების ორდენი, გარდაცვალების შემდეგ.

საკითხი 8. საერთო კრების შეჯამება

კრების თავმჯდომარემ შეაჯამა საერთო კრება და აღნიშნა, რომ საერთო კრება გაიმართა ასოციაციის წესდებისა და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგლამენტის თანახმად.

16:00 საათზე კრების თავმჯდომარის მიერ კრება დახურულად გამოცხადდა.

დანართი : ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი (5 ფურცლად).

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge. წინამდებარე აქტი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე